წესები და პირობები

დანართი1

ხელშეკრულება

რეგისტრაციის ღილაკზე ხელის დაჭერით ,
თქვენ ადასტურებთ , რომ გაეცანით და დაეთანხმეთ
წინამდებარე ხელშეკრულებას .

ნებისმიერი პირი , რომელსაც სურს შეიძინოს ქონება , უნდაგაეცნოს და დაეთანხმოს ხელშეკრულების პირობ ებს .

ვებგვერდის გამოყენებამდე , გთხოვთ დეტალურად გაეცნოთაღნიშნულ პირობებს . რეგისტრაციის განხორცი ელების შემდეგ ,თქვენ ავტომატურად მოექცევით ხელშეკრულების მოქმედებისფარგლებში , რაც ნიშნავს იმა ს , რომ განაცხადეთ თანხმობახელშეკრულების მოქმედების თქვენზე გავრცელებაზე .

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ სს " ბანკი კონსტანტა" (ს/კ 204542771; **შემდგომში – აუქციონატორი)დანებისმიერი პირი , რომელიც დარეგისტრირდება ვებგვერდზე (შემდგომში - მომხმარებელი).**

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულება, ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსების შედეგად, აძლევს მომხმარებელს შესაძლებლობას შეიძინოს ქონება.

მუხლი 2. რეგისტრაციის პირობები

1. ვებგვერდზე რეგისტრაცია შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. ქონების შემძენი შეიძლება იყოს ნებისმიერი საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან პირთა გაერთიანება, სახელმწიფო ორგანო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

2. ფიზიკური პირი, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად არის ქმედუნარიანი , სარეგისტრაციო ფორმაში ავსებს: „პირადი ნომრის" (პირადობის მოწმობის 11 ნიშნა პირადი ნომერი), „გვარის" და „სახელის" ველებს, რის შემდეგაც სისტემის მიერ, ავტომატურად ხდება სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზასთან ინფორმაციის გადამოწმება და მონაცემების უტყუარობის შემთხვევაში რეგისტრაციის შემდგომ ეტაპზე დაშვება, სადაც ფიზიკური პირის მიერ ივსება სარეგისტრაციო ფორმის დარჩენილი ველები: „მომხმარებლის სახელი," „პაროლი," „ელექტრონული ფოსტის მისამართი" და „მობილური ტელეფონის ნომერი."

3. იურიდიული პირი სარეგისტრაციო ფორმაში ავსებს: „საიდენტიფიკაციო ნომრის," „ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის" და „დასახელების" ველებს, რის შემდეგაც სისტემის მიერ ავტომატურად ხდება სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემთა ბაზასთან (მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრთან) ინფორმაციის გადამოწმება და მონაცემების უტყუარობის შემთხვევაში რეგისტრაციის შემდგომ ეტაპზე დაშვება, სადაც იურიდიული პირის მიერ ივსება სარეგისტრაციო ფორმის დარჩენილი ველები: „მომხმარებლის დასახელება," „პაროლი," „ელექტრონული ფოსტის მისამართი" და „მობილური ტელეფონის ნომერი".

4. აღნიშნულის შემდგომ მომხმარებელი „დადასტურების ელემენტის“ მეშვეობით ეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულებას, ასევე აქვს სიახლეების ხელმოწერის შესაძლებლობა.

5. რეგისტრაციის დასკვნით ეტაპზე სარეგისტრაციო ფორმაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე სისტემა აგზავნის აქტივაციის კოდს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე ვებგვერდის ბმულს. აღნიშნული ბმულის მომხმარებლის მიერ ბროუზერში გახსნის და აქტივაციის კოდის შეყვანით სრულდება რეგისტრაციის პროცესი.

მუხლი 3. ავტორიზაცია

ვებგვერდზე დარეგისტრირებული მომხმარებლებისათვის ავტორიზაცია შესაძლებელია შესაბამის ფორმაში „მომხმარებლის სახელის“ ("დასახელების") და „პაროლის“ შეყვანის გზით.

მუხლი 4. ინტერნეტაუქციონში მონაწილეობის მიღება

1. ავტორიზაციის შემდგომ, მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს ინტერნეტაუქციონის გზით შეიძინოს ქონება, კონკრეტული ლოტის შესაბამისად.

2. აუქციონატორი უფლებამოსილია გადაწყვიტოს, თუ რომელი ლოტისთვის იქნება სავალდებულო ბეს გადახდა ან უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის (მათ შორის ელექტრონული) წარდგენა/გააქტიურება, რომლის მოქმედების ვადა უნდა გრძელდებოდეს არანაკლებ 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღე.

3. აუქციონის მიმდინარეობის ხანგრძლივობას განსაზღვრავს აუქციონატორი.

4. მომხმარებელმა, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს ინტერნეტაუქციონში, ბე უნდა გადაიხადოს ან უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია (მათ შორის ელექტრონული) წარადგინოს/გააქტიუროს თითოეული ქონებისთვის ცალ-ცალკე.

5. ბეს გადახდა შესაძლებელია როგორც საბანკო პლასტიკური ბარათის საშუალებით, ისე საბანკო დაწესებულების მეშვეობით.

6. ავტორიზებული მომხმარებელი ირჩევს კონკრეტულ ლოტს და გადააქვს „კალათაში,“ საიდანაც შესაძლებლობა აქვს გახსნას აღნიშნულ ლოტზე აუქციონის გვერდი და მიიღოს ინტერნეტაუქციონში მონაწილეობა. ინტერნეტაუქციონის მსვლელობის პროცესში მონაწილეთა რაოდენობა არ არის შეზღუდული. მონაწილისთვის დაფარულია დანარჩენ მონაწილეთა ვინაობა (სისტემა ავტომატურად უზრუნველყოფს მონაწილეთათვის რიგითი ნომრების მინიჭებას).

7. კონკრეტული ლოტის გვერდზე მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს ინფორმაციას ინტერნეტაუქციონის მიმდინარეობის (ინტერნეტაუქციონში მონაწილე მომხმარებლების რაოდენობის, მათ მიერ გაცხადებული ფასების, დროის და სხვა) შესახებ და განახორციელოს საკუთარი ფასის დადება შესაბამისი ბიჯის გათვალისწინებით.

8. მომხმარებლის მიერ ფასის დადება განიხილება, როგორც მისი თანხმობა აღნიშნული ლოტის მოცემულ ფასად შეძენის თაობაზე. ფასის დადება შესაძლებელია შესაბამისი ბიჯის სასურველი ჯერადობით მომატების გზით. ყოველი შემდგომი „ფასის დადება“ ზრდის ლოტის ფასს.

9. ინტერნეტაუქციონში იმარჯვებს ის მომხმარებელი, რომელიც ინტერნეტაუქციონის დასრულებამდე ყველაზე ბოლო განახორციელებს ლოტზე ყველაზე მაღალი ფასის დადებას, ხოლო თუ ინტერნეტაუქციონი გამოცხადდა პირობებით, რომელიც დააკმაყოფილებს გამოცხადებულ პირობებს და ამასთანავე ყველაზე მაღალ ფასს დააფიქსირებს.

10. ინტერნეტაუქციონი ცხადდება დასრულებულად ვადის ამოწურვისთანავე. თუ ნებისმიერი მონაწილის მიერ „ფასის დადება“ მოხდა ინტერნეტაუქციონის ვადის ამოწურვამდე დარჩენილი ორი წუთის განმავლობაში, ინტერნეტაუქციონის ვადა ხანგრძლივდება ორი წუთით და ასე გაგრძელდება ვაჭრობის დასრულებამდე.

11. ინტერნეტაუქციონის დასრულების შემდგომ სისტემა გამარჯვებული მომხმარებლის ელექტრონულ ფოსტაზე და მობილური ტელეფონის ნომერზე აგზავნის შესაბამის შეტყობინებას (შეძენილ ლოტზე გადასახდელი თანხის (ვაჭრობის დასასრულს დაფიქსირებული ფასის, დროის, ადგილის და ა.შ. მითითებით).

12. ინტერნეტაუქციონში გამარჯვებულის მის მიერ გადახდილი ბე ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

13. ინტერნეტაუქციონში დამარცხებულს ბე, საბანკო პლასტიკური ბარათით გადახდის შემთხვევაში, დაუბრუნდება ინტერნეტაუქციონის ჩატარების დღიდან არაუგვიანეს 5 საბანკო დღის ვადაში იმ საბარათე ანგარიშზე, საიდანაც მოხდა ბეს გადახდა, ხოლო www.eauction.ge-ს ერთიანი ანგარიშსწორების სერვისით სარგებლობისას, ინტერნეტაუქციონში დამარცხებულს ბე უბრუნდება ავტომატურად, ინტერნეტაუქციონის შედეგების დადგომისთანავე, მის მიერ გადახდის დროს მითითებულ ანგარიშზე, ან სს ,,ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში, პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე.

მუხლი 5 . მხარეთა უფლებამოსილება

1. აუქციონატორი უფლებამოსილია :

ა) შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, ინტერნეტაუქციონში მონაწილეობის მიღების წესი, ან სხვა პირობები ნებისმიერ დროს. ამ ცვლილებას/ცვლილებებს ძალა ექნება მას შემდეგ, რაც ისინი განთავსდება ვებგვერდზე;

ბ) შეწყვიტოს ნებისმიერი მომსახურება ტექნიკური პრობლემის, რაიმე შეცდომის, უზუსტობის, მომხმარებლის მხრიდან უკანონო მოქმედებების განხორციელების ან სხვა მიზეზების გამო, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ვებგვერდს, სპეციალისტს (აუქციონის მომწყობს) ან თვითონ სააგენტოს;

გ) შეაჩეროს ან შეწყვიტოს მომხმარებლის რეგიტრაცია და შესვლა ვებგვედზე თუ ჩათვლის, რომ მომხმარებელი არასწორად მოქმედებს;

დ) გააკონტროლოს ყველა მოქმედება მომხმარებლის მხრიდან და რაიმე დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები.

2. აუქციონატორი ვალდებულია :

ბ) დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

3. მომხმარებელი უფლებამოსილია :

ა) გააკეთოს არჩევანი და შეიძინოს ქონება;

ბ) ნებისმიერ დროს განაახლოს თავისი პირადი მონაცემები.

4. მომხმარებელი ვალდებულია :

ა) დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

ბ) სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში აანაზღაუროს ქონების ღირებულება;

გ) აუქციონში გამარჯვების და ქონების ფასის სრულად გადახდის შემთხვევაში მიმართოს აუქციონატორს (სპეციალისტი სს "ბანკი კონსტანტა"), აუქციონის განკარგულების გაცემის შესახებ.

დ) მომხმარებელს არ აქვს უფლება ფასების ხელოვნურად გაზრდის მიზნით მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში.

მუხლი 6 . ანგარიშსწორება

ა) მომხმარებლის მიერ სასურველ ლოტზე ბეს გადახდა შესაძლებელია როგორც საბანკო პლასტიკური ბარათის მეშვეობით, ისე საბანკო დაწესებულებაში. ბეს, ქონების მთლიანი ღირებულების გადახდა, ასევე უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის (მათ შორის ელექტრონულის) წარდგენა ხორციელდება ვებგვერდის www.eauction.ge-ს ერთიანი ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით.

ბ) მომხმარებელი, საბანკო დაწესებულების მეშვეობით (www.eauction.ge-ს ერთიანი ანგარიშსწორების სერვისით სარგებლობისას) თანხის გადახდის შემთხვევაში, საბანკო დაწესებულებაში წარადგენს ლოტის განაცხადის ნომერს და ინტერნეტაუქციონზე რეგისტრირებული მომხმარებლის მონაცემებს (ფიზიკური/იურიდიული პირის დასახელება; პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი).

გ) საბანკო პლასტიკური ბარათით თანხის გადახდის შემთხვევაში, მომხმარებელისთვის ხელმისაწვდომია ლოტის თანხის, ასევე ბეს ელექტრონული გადახდის ფორმები. აღნიშნული ფორმები შეიცავს ინფორმაციას გადამხდელზე, ინფორმაციას ლოტის შესახებ (ლოტის საბოლოო ფასის მითითებით) და ინფორმაციას მიმღების შესახებ, დასახელების და ანგარიშის/ანგარიშების (მომხმარებლი ირჩევს ერთ-ერთ ანგარიშს) ნომრების მითითებით. მონაცემების სისწორის შემთხვევაში მომხმარებელი აჭერს გადახდის ღილაკს და შესაბამისად გადადის საბანკო პლასტიკური ბარათის საგადახდო სისტემაში, სადაც ავსებს საბანკო პლასტიკურ ბარათს და ახორციელებს გადახდას.

დ) იურიდიული პირი, რომელსაც სურს საგარანტიო თანხის, ქონების დარჩენილი ან მთლიანი ღირებულების გადახდა უნაღდო ანგარიშწორების მეშვეობით, ვალდებულია:

დ.ა) ლოტზე წარმოდგენილი ჩანართიდან „დანიშნულება" მონიშნოს სრული სიზუსტით წარმოდგენილი ჩანაწერი და გადაიტანოს უნაღდო გადარიცხვის დანიშნულებაში;

დ.ბ) საგარანტიო თანხის გადარიცხვა უნდა განხორციელდეს აუქციონის დასრულებამდე/ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 28 საათისა. 28 საათის ათვლა მოხდება სამუშაო დღეების გათვალისწინებით.

ე) ამ მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში თანხა არ იქნება ასახული სისტემაში, შესაბამისად, მომხმარებელს არ ჩაეთვლება გადახდაში და სააგენტო იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

ე) თანხების ნებისმიერ ტრანზაქციასთან დაკავშირებით წარმოშობილ საკითხებზე პასუხისმგებელია გადამხდელი ბანკი.

ვ) ოპერაციის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, გადახდის გვერდზე ჩნდება შესაბამისი შეტყობინება.

ზ) ინტერნეტაუქციონში გამარჯვებულმა ქონების საფასური უნდა გადაიხადოს ინტერნეტაუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) საბანკო დღისა. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში, ინტერნეტაუქციონში გამარჯვებული კარგავს ყოველგვარ უფლებას აღნიშნული ქონების შეძენაზე და გადახდილი ბე უკან არ უბრუნდება, ხოლო უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის შემთხვევაში - კარგავს ყოველგვარ უფლებას აღნიშნული ქონების შეძენაზე და აუქციონატორი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტიის თანხა. წინამდებარე მუხლში მითითებული ვადის დარღვევის შემთხვევაში ბე ან უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხა გადახდილი იქნება აუქციონატორისათვის (სპეციალისტი სს "ბანკი კონსტანტა").

თ) ქონების შეძენის შემთხვევაში საკუთრების უფლების რეგისტრაციის განკარგულების გაცემა და ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვება ხდება მხოლოდ თანხის სრულად გადახდის (პირგასამტეხლოს ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემდეგ.

ი) www.eauction.ge-ს ერთიანი ანგარიშსწორების სერვისით სარგებლობისას, ინტერნეტაუქციონში დამარცხებულს ბე უბრუნდება ავტომატურად, ინტერნეტაუქციონის შედეგების დადგომისთანავე, მის მიერ გადახდის დროს მითითებულ ანგარიშზე, ან სს ,,ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში, პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე.

მუხლი 7 . ქონების მიღება

7.1. ქონების გადაცემა ხდება აუქციონატორის (სპეციალისტი სს "ბანკი კონსტანტა") მიერ შემძენისათვის აუქციონის განკარგულების გაცემით. შემძენი ვალდებულია საკუთარი ხარჯით განახორციელოს განკარგუკლების სათანადო წესით შესაბამის ორგანოში რეგისტრაციია. განკარგულება შემძენს გადაეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

ა) აუქციონი ჩატარდა კანონმდებლობისა და წიანდებარე ხელშეკრულების მოთხოვნათა შესაბამისად.

ბ) ქონების ღირებულების თანხა შემძენის მიერ გადახდილია სრულად კანონითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისიწნებულ ვადაში.

გ) ქონების ღირებულების სრული თანხა ასახულია აუქციონატორის (სპეციალისტი სს "ბანკი კონსტანტა") შესაბამის საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 8 . მხარეთა პასუხისმგებლობა

წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მიყენებული ზიანისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9 . კონფიდენციალურობა

1. მომხმარებელი პასუხს აგებს მისი სახელით და არჩეული პაროლით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე.

2. აკრძალულია ხელშეკრულების მე-2 მუხლში მოცემული პარამეტრების გაყალბება, რაც ექვემდებარება პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. აუქციონატორი ვალდებულია არ გაამჟღავნოს მომხმარებლისგან რეგისტრაციის დროს მიღებული ინფორმაცია მესამე პირთან.

4. მომხმარებელი ვალდებულია არ გაამჟღავნოს ინფორმაცია თავისი პაროლის შესახებ. თუ სხვადახვა მიზეზის გამო პაროლი ცნობილი გახდება სხვა პირისთვის, მომხმარებელმა ის უნდა შეცვალოს.

მუხლი 1 0 . მოქმედი კანონმდებლობა

1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებზე მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობა.

2. ნებისმიერი უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მხარეთა შორის, უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

მუხლი 1 1 . დამატებითი პირობები

1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების ათვლა ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

2. ისეთი სახეობის ქონების შეძენის შემთხვევაში, რომლის რეგისტრაციაც, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სავალდებულოა შესაბამის მარეგისტრირებელ სამსახურში, ინტერნეტაუქციონში გამარჯვებული ვალდებულია გონივრულ ვადაში უზრუნველყოს სპეციალისტის მიერ გაცემული აუქციონის განკარგულების წარდგენა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

3. აუქციონზე ქონების შეძენიასთვის ბეს, საგარანტიო თანხის გადახდის ან ელექტრონული საბანკო გარანტიის წარდგენის, ასევე ქონების შეძენასა და მის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ხარჯი, საკომისიო, სახელმწიფო გადასახადი ეკისრება შემძენს.

4. მომხმარებლისთვის ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება მის ელექტრონულ მისამართზე ან მობილური ტელეფონის ნომერზე შეტყობინების გაგზავნის სახით, რაც ჩაითვლება ინფორმაციის ოფიციალურ შეტყობინებად.